პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 ივლისი, შაბათი, 1987 წ.
№ 128 (9539) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გარდაქმნის გარანტია

პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, მსჯელობა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ, ახლახან გამართულ პლენუმზე და სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება კანონის შემოღების თაობაზე.

ახალი კანონი დიდ უფლებებს ანიჭებს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს. კანონი, რომელიც ძალაში შევა 1988 წლის პირველი იანვრიდან, ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ძირითად რგოლებში მართვისა და შრომითი კოლექტივის თვითმმართველობის დემოკრატიულ სრულყოფას, შემოსავლისა და გასავლის ახლებურად რეგულირებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას. განსაკუთრებით შევჩერდებით ახალი კანონის იმ პუნქტზე, სადაც ლაპარაკია შრომითი კოლექტივის სოციალურ განვითარებაზე. აქ მრავალი გარანტიაა მოცემული შრომით კოლექტივში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მატერიალური საფუძვლების შექმნისათვის. ფიზკულტურა და სპორტი, ცხადია, სოციალურ სფეროს განეკუთვნება, კანონში კი ჩაწერილია, რომ საწარმო „სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ძირითად ნაწილს ახმარს საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა დაწესებულებებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას... აშენებს, არემონტებს და ექსპლუატაციას უწევს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებს, პანსიონატებს, კულტურის სახლებს, ტურისტულ და სპორტულ ბაზებს და სხვა დასასვენებელ ობიექტებს“. ახალ კანონში მეტად საყურადღებოა ამავე პუნქტის ის ნაწილიც, სადაც მითითებულია, რომ „საწარმოს შეუძლია მატერიალურად წაახალისოს მედიცინის, საბავშვო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების მუშაკები...“

ეს — კონკრეტულად. ისე კი, ცხადია, გათვალისწინებულია სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. მაგალითად, საწარმოსა და კოლექტივის საქმიანობის ყველა უბანზე, მათ შორის ფიზკულტურული კოლექტივის, სპორტული კლუბის საქმიანობაში, ვრცელდება ისეთი სიახლე, როგორიცაა, მაგალითად, სართები პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონის გაფართოების ან ზედმეტი მოცულობის შესრულებული სამუშაოსათვის დანამატების შემოღება და ა. შ. ერთი სიტყვით, იქმნება ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ შრომითი კოლექტივის ფიზკულტურულმა მუშაკმა მეტი ინიციატივა გამოიჩინოს, მეტი სასარგებლო საქმე გააკეთოს და ანაზღაურებაც შესაბამისი მიიღოს, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების პარალელურად მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცება კი უდავოდ სასიკეთო გარდაქმნებამდე მიგვიყვანს.

**ელვა-ინფორმაცია**

უიმბლდონის ტურნირზე დაამარცხა სტეფან ედბერგი (შვეცია) — 3:6, 6:4, 7:6, 6:4 და ფინალში გავიდა.

ივან ლენდლიმ (ჩეხოსლოვაკია)

## წარმატებათა სერია გრძელდება

**მოსკოვი.** მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე სტარტი აიღო ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებამ გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზზე, რომელშიც გდრ-ის, კუბის, ბულგარეთის, ვიეტნამის, ნიკარაგუას, რუმინეთის, სირიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და სსრ კავშირის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ქალთა შეჯიბრების პირველ სახეობაში — პნევმატური შაშხანიდან სროლაში ყველას ბულგარელმა ვესლა ლეჩევამ აჯობა, მან 397 ქულა მოაგროვა და ოფიციალური მსოფლიო რეკორდი 2 ქულით გააუმჯობესა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა ქალთა შორის. აქ ერთმანეთს ძველი მეტოქეები და თანაგუნდელები, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი როსტოველი მარინა დობრანჩევა და თბილისელი ნინო სალუქვაძე შეხვდნენ. ძირითადი სერიების შემდეგ წინ იყო დობრანჩევა, მაგრამ ფინალში ნინომ აბსოლუტური შედეგი (100-იდან 100) აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა (587 ქულა ძირითად სერიებში). დობრანჩევას მეორე ადგილი ხვდა.

ასპარეზობა დღეს დამთავრდება.



**ყველა** თაყვანისმცემელსა და გულშემატკივარს, იმ ახალგაზრდებსაც კი, ვისაც ომარ ფხაკაძე სარბიელზე არასდროს უნახავს, შესაძლებლობა ეძლევა ყოველდღიურად შეხვდეს ლეგენდარულ სპორტსმენს; მეტიც, რჩევა-დარიგებებიც მიიღოს მისგან. „ველოსპორტი — ყველასთვის!“ — ამ დევიზით მუშაობს თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე (დირექტორი ომარ ფხაკაძე) გამაჯანსაღებელი ჯგუფები.

თ. ნიკოლეიშვილის ფოტო.

## უნარი შესწევთ

**ივნისის** მიწურულს კიშინიოვში ჩატარდა გამოჩენილი რუსი მოჭიდავის ი. ზაიკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში.

საქართველოს „კლასიკოსები“ შეჯიბრებაში ურიგოდ არ გამოსულან. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის თამაზ ყაზარაშვილის (58 კგ) გამოსვლები ავიღოთ. მან ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო, მათ შორის საკავშირო პირველობაში გამარჯვებულ ტოლიატელ ლინარ ბულატოვთანაც. პირველი ჯილდო მას გადაეცა.

ასევე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 88 კგ წონაში ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტმა გოგიტა კოლუაშვილმა. მაგრამ აქ საგულისხმო ის იყო, რომ მესამე პრიზიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს რამაზ გადაბაძეს დარჩა, რომელმაც ერთადერთი ბრძოლა წააგო და ისიც ამ წონაში გამარჯვებულთან. პირველი ადგილი დაისაკუთრა ასევე თბილისის „შრომითი რეზერვების“ მოჭიდავემ ნაიბი დვალიძემ (97 კგ). გადამწყვეტი ორთაბრძოლა მას ქალაქ ზოლოტონოშის წარმომადგენელ იური ევსეიჩიკთან ჰქონდა. ქართველმა მოჭიდავემ თავის მეტოქეს 13 ქულით აჯობა, შეხვედრის ბოლოს ევსეიჩიკი პასიურობისთვის მოხსნეს.

თბილისელმა დავით კუპატაძემ III ადგილი დაიკავა მძიმეწონოსანთა ასპარეზობაში, ესეც ახალგაზრდა მოჭიდავეს წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებმაც, პირველ რიგში კი აკაკი ჩაჩუამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და გია ჩხატარაშვილმა (თბილისის „დინამო“).



## ქვახვრელის სარბიელზე

**გორის** რაიონის სოფელ ქვახვრელის საჭიდაო სარბიელზე გაიმართა საინტერესო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში, რომელიც მიეძღვნა ტრაგიკულად დაღუპულთა — კოლმეურნეობის თავმჯდომარის იასონ გაბინაშვილისა და მიწათმომწყობი ზაქარია ჯანეზაშვილის ხსოვნას, მონაწილეობდნენ კასპის, ქარელისა და გორის უძლიერესი ფალავნები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ზ. ლომსაძემ, ვ. ბაზანდარაშვილმა (ორივე — გორის რაიონი), გ. კუთხაშვილმა (ქარელი), ა. გოგიაშვილმა, თ. მამულაშვილმა, თ. აბუაშვილმა (სამივე — გორის რაიონი), ი. თაბუაშვილმა (კასპი) და გ. სადალაშვილმა (გორის რაიონი). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო გორის რაიონის ნაკრები.

გამარჯვებულებს ჯილდოები იასონ გაბინაშვილის ქალიშვილმა გადასცა. ასეთი ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.**

## მეორე ადგილზე

**ტალინი.** მესტენდურეთა საკავშირო ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე სროლაში პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადის გუნდი, რომელსაც 210 ქულა ჰქონდა. ლიდერს 2-2 ქულით ჩამორჩებოდნენ რუსეთის ფედერაციისა და ლიტვის მსროლელები.

მეორე დღეს აქტიურად და ზუსტად ისროდნენ შარშანდელი ჩემპიონები — საქართველოს მესტენდურეები. პირველობა მაინც ლენინგრადელებს დარჩათ — 422 ქულა. საქართველოს გუნდი გამარჯვებულს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა — 421. მესამე ადგილი ესტონელ სნაიპერებს ხვდათ — 420 ქულა.

## ციტატა

**„ბრავო, მაია!“** — ასეა დასათაურებული საერთაშორისო დიდოსტატ დ. ბრონშტეინის წერილი, რომელიც გაზეთ „იზვესტიის“ 3 ივლისის ნომერში დაიბეჭდა. როგორც ცნობილია, ბილბაოში (ესპანეთი) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ვაჟებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ. მან ბრწყინვალედ ითამაშა და 5,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო იუგოსლაველ დიდოსტატ ლ. ლიუბოევიჩთან.

გთავაზობთ ამონაწერს ამ წერილიდან:

**„ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ეს შედეგი უნდა მივულოცოთ. საქმე ქულები როდია. მას შეიძლება ქულით მეტიც ჰქონოდა და ნაკლებიც. გვახარებს ჩიბურდანიძის თამაშის სტილი. ჯერ ერთი, მსოფლიო ჩემპიონი ყველა მეტოქესთან ყოველთვის მხოლოდ მოგებაზე თამაშობს. მეორეც, იგი ცდილობს, ყოველი პარტია მძაფრი კომბინაციური სტილით წარმართოს. მისი პარტიები ყოველთვის ძალზე საინტერესო საყურებელია... ამ მხრივ გამონაკლისი არც ბილბაოს ტურნირი ყოფილა. საკმარისია ითქვას, რომ მ. ჩიბურდანიძემ შეძლო სატურნირო ცხრილში თავისი მეზობლის ლ. ლიუბოევიჩის დამარცხება და მორალურად უფლება აქვს თავისი თავი მესამე ადგილზე ჩათვალოს. შემდეგ მან მძაფრ ბრძოლაში შეძლო ყაიმით დაემთავრებინა პარტია ა. კარპოვთან. გარდა ამისა, რაც ყველას არ ძალუძს, მაიამ მთელი ტურნირი დაუმარცხებლად გაიარა და ისე დაიკავა მაღალი ადგილი.**

**გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოს მრავალმა საჭადრაკო კლუბმა მიიპატიჟა მ. ჩიბურდანიძე ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად. საჭიროა მსოფლიო ჩემპიონის ასე ქება? საჭიროა, რადგან იგი ყველაზე წინ დგას და მისი შთამბეჭდავი გამარჯვებები დამაჯერებელი სტიმულია ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობისთვის...“**

## შთამომავლობას შევმოვუნახოთ

**ეროვნული** სპორტის, კერძოდ, ცხენოსნობის აღორძინება ჩვენს რესპუბლიკაში ამ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, მაგრამ ამ კეთილშობილურ საქმეს ყველგან ერთნაირი მონდომებით როდი მოჰკიდეს ხელი: ბევრგან წამოიწყეს და მიატოვეს — ნებისყოფა არ ეყოთ, არც მამა-პაპათა ტრადიციების სიყვარული. ცხენოსნობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ ერთ-ერთი და უმთავრესი მაინც სპორტის მესვეურთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა დაუინტერესებლობაა. არადა, სწორედ მათ შეუძლიათ ძველი დიდება დაუბრუნონ სპორტის ამ სახეობას.

კახეთში ამ ბოლო დროს სისტემატურად ტარდება შეჯიბრებე-

იხ. მე-4 გვ.



**ორიენტირი — სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები**

# მიზანი — მხოლოდ პირველი ადგილი

**სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა მასპინძლობს, წლის უმნიშვნელოვანესი კომპლექსური შეჯიბრებაა. ცხადია, ამ ასპარეზობისთვის გულმოდგინედ ემზადებიან საქართველოს ნაკრები გუნდები. სპორტის გულშემატკივრები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ მოჭიდავეებზე, რომლებიც, როგორც წესი, წარმატებით ასპარეზობენ საყმაწვილო შეჯიბრებებში. ძიუდოისტები, მაგალითად, მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადისა და ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონები არიან. ბუნებრივია, ტატამის ნორჩი ოსტატებისგან ახლაც მხოლოდ გამარჯვებას, მხოლოდ პირველ ადგილს ველით.**

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები ამჟამად ბორჯომში ბოლოსწინა სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი დაესწრო ერთ-ერთ ვარჯიშს და ესაუბრა გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ვასილ ლაზრიშვილს.**

● **ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ნაკრების მომზადება, ბუნებრივია, საპატიოც არის და საპასუხისმგებლოც, მით უმეტეს, იმ გუნდის მწვრთნელისათვის, რომელსაც თუნდაც მეორე ადგილს წარუმატებლობად ჩაუთვლიან...**

— მართლაც დიდი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა, როცა ძიუდოისტთა ნაკრები ჩვენ ჩაგვაბარეს. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში პირველი ადგილის დაკავება, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის. საქმეს ისიც ართულებს, რომ ახალი დებულებით შეჯიბრებაში ზონების ნაკრები გუნდები ჩაებმებიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ — მწვრთნელებიც და გუნდის წევრებიც — ოპტიმისტურად ვართ განწყობილი.

● **ეს ოპტიმიზმი, ალბათ, რეალურ მონაცემებს ემყარება...**

— სამწუხაროდ, თამაშების ზონალურ ტურნირებს ვერ დავესწარით, მაგრამ მოსწავლეთა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებებიდან ვიცით უშუალო კონკურენტების შესაძლებლობები. ჩვენივარაუდით, მთავარი ბრძოლები რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდებთან გვექნება. ასე იყო ადრინდელ კომპლექსურ შეჯიბრებებშიც. მაშინ ჩვენ შევძელით მათი დამარცხება და ახლაც იგივეს გაკეთებას ვისახავთ მიზნად. ვიმეორებ, ამოცანა რეალურია, დანარჩენს კი უშუალოდ შეჯიბრება დაგვანახებს.

● **რამდენადაც ვიცით, თამაშებისთვის მზადებას კარგა ხანია შეუდექით.**

— ამ შეჯიბრებისთვის 1985 წლიდან ვემზადებით. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მაგრამ ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ. აქ, ბორჯომში 28 ძიუდოისტი ჩამოვიყვანეთ, უშუალოდ თამაშებში კი, როგორც წესი, 7 სპორტსმენი ჩაებმება. მასპინძლებმა ვარჯიშისა და დასვენების საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს. ვცხოვრობთ სასტუმრო „თბილისში", ვარჯიშებს სპორტკომიტეტის საჭიდაო დარბაზში ვატარებთ, ჩვენთვის ხელსაყრელ დროს გვითმობენ საცურაო აუზს, სპორტთამაშების დარბაზს. ერთი სიტყვით, სამდურავი ნამდვილად არ გვეთქმის. დასკვნითი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება გორში გვაქვს დაგეგმილი, იქვე მოეწყობა თამაშების ფინალური ტურნირიც. პირველი შეხვედრები, როგორც იცით, 6 აგვისტოს გაიმართება.

● **გუნდის სავარაუდო შემადგენლობას ხომ ვერ დაგვისახელებთ?**

— ამაზე საუბარი, ვფიქრობ, ნაადრევია. ყველაფერი გორში, დასკვნით შეკრებაზე გაირკვევა. შემიძლია დაგისახელოთ რამდენიმე მოჭიდავე, რომლებმაც ბოლოდროინდელ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში გამოიჩინეს თავი. მძიმე წონაში, მაგალითად, ტოლს არავის უდებს ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი, რომელიც ამჟამად ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებშია მიწვეული და „მეგობრობის" საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ხახალეიშვილი თამაშებში ვერ გამოვიდეს, მაშინ გუნდს ჩასათვლელი ქულები დააკლდება. ერთი ძლიერი მოჭიდავე გვყავს 83 კგ წონით კატეგორიაში — ვეფხია ავალიანი და გიორგი გაჩეჩილაძე, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ დებულება წონის „გაორების" უფლებას არ იძლევა. კარგ სპორტულ ფორმაში არიან მამუკა თურმანიძე (68 კგ), ზურაბ სამუკაშვილი (57 კგ) და სხვები.



● **თქვენი კოლეგებიც გაგვაცანით...**

— ბიძინა მაზიაშვილს ქვეყანა იცნობს და ჩემი წარდგინება არ სჭირდება. მასთან ერთად გუნდს ამზადებენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ ნატროშვილი, ახალგაზრდა სპეციალისტები — სოსო კევლიშვილი და დავით ჯანგირაშვილი. აქტიურად გვეხმარება სამეცნიერო ჯგუფი, რომელსაც დურმიშხან ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს.

● **მკითხველებს, ალბათ, დააინტერესებთ თქვენი სამუშაო დღის რეჟიმი....**

— რვის ნახევარზე ყველანი ფეხზე ვართ, რვაზე იწყება დილის ვარჯიში, კროსი, თერთმეტ და ცხრამეტ საათზე, როგორც წესი, ორი ორსაათიანი ვარჯიში გვაქვს. აი, ასეთია ერთი სამუშაო დღის, ასე ვთქვათ, სპორტული ნაწილი. აქ, ბორჯომში ძირითადი ყურადღება ეთმობა მოჭიდავეთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებას, ცალკეული ილეთების დახვეწას.

**ელგუჯა სალხინოელი,**
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.
ბორჯომი.

# დავიწყებული ტრადიცია და ფარული რეზერვები

**ერთი რესპუბლიკის მაგალითი გვარწმუნებს, რომ სამბოს განვითარების შესაძლებლობები ყველგან არის, ოღონდ საჭიროა მათი გონივრულად გამოყენება**

**მკითხველი** ალბათ შენიშნავდა, რომ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" ხშირად იბეჭდება წერილები ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების შესახებ, საუბარია ქართული სპორტის წარმატება-წარუმატებლობებზე, სპორტის ცალკეულ სახეობათა პრობლემებზე და ა. შ. ცხადია ცენტრალური სპორტული გაზეთის მიზანია მხარში ამოუდგეს საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, დაეხმაროს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, განაზოგადოს გამოცდილება.

ბოლო ხანებში, როგორც ცნობილია, სამბოს განვითარებას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საკავშირო სპორტსახკომმა ამასთან დაკავშირებით მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლის შესასრულებლად ჩვენს რესპუბლიკაში პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ახლახან „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ.

**სპორტში** წარმატება-წარუმატებლობის უპირველესი და ყველაზე ზუსტი საზომი არის შედეგი. ელემენტარული დაკვირვებაც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, რომ საქართველოში სამბო უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად ვითარდება; თვალსა და ხელს შუა ქრება ტრადიციები, რომლებსაც თავის დროზე ქართული ჭიდაობის ენთუზიასტებმა ჩაუყარეს საფუძველი. სხვათა შორის, სპეციალისტები დღეს სამბოს ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ჭიდაობის ეროვნული სახეობისადმი უყურადღებობას ასახელებენ — აქაოდა, შევსებას იქიდან ვღებულობდითო. თუმცა, ჩვენი აზრით, მიზეზი სხვაც ბევრია — უფრო არსებითი და ყურადსაღები.

მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. ჯერ სამბოს ქართული სკოლის წარსული გავიხსენოთ. რესპუბლიკის სამბისტებს საკავშირო ჩემპიონატებში 52 ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული, მსოფლიო ჩემპიონატებში — 5. შალვა ნოზაძე, ქრისტეფორე ნინიაშვილი, ესტატე ქარქუსაშვილი, გიორგი როსტიაშვილი, ზაქარია მუხიაშვილი, ლავრენტი კაციაშვილი, ანზორ კიკნაძე. აი, არასრული სია იმ სპორტსმენებისა, ვისი გამარჯვებებითაც ამაყობდა რესპუბლიკა. მოგვიანებით დიდ სარბიელზე გამოჩნდნენ იოსებ მალალაშვილი, გენადი კიკნაძე, ნოდარ მალვენიშვილი, აკაკი ოქროპირიძე და სხვები. 1971 წელს, როცა სამბო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს, საქართველოს მოჭიდავეებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავეს და დაამტკიცეს, რომ ქვეყანაში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან, იგივე დადასტურდა მეექვსე სპარტაკიადაზეც, სადაც რესპუბლიკის ნაკრები მეორე იყო.

ასეთმა კეთილდღეობამ, როგორც ჩანს, დაამშვიდა ის ხალხი, ვინც პასუხს აგებდა სამბოს განვითარებისათვის. აბა, რით შეიძლება აიხსნას ის მეტამორფოზა, საქართველოს სამბისტებმა რომ განიცადეს. მეშვიდე სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრებმა უკვე მეექვსე ადგილი დაიკავა, მერვეზე—კიდევ ერთი საფეხურით უკან დაიწია, მეცხრე სპარტაკიადაზე კი... მეათე აღმოჩნდა. ეს არის სამწუხარო, მაგრამ ლოგიკური შედეგი. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბოლო წლებში საქართველოს სამბისტებს სულ უფრო იშვიათად იწვევენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

ერთი სიტყვით, საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. სწორედ ამ სულისკვეთებით გაიმართა საუბარი საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე, სადაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სამბისტთა გამოსვლის შედეგებს განიხილავდნენ. კოლეგიამ პრინციპულად, ობიექტურად შეაფასა ფაქტები, მკაცრად დასაჯა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. ზურაბაული, ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ე. ღუდუშაური, რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ტ. ჩუთლაშვილი (ახლა ისინი სხვა სამუშაოზე არიან)...

ვერ ვიტყვით, რომ რესპუბლიკაში სამბოს სავალალო მდგომარეობა აქამდე მიჩქმალული იყო და ხმის ამომღები არავინ ჩანდა. ჭიდაობის ზოგიერთ სპეციალისტს ადრეც არაერთხელ გამოუთქვამს სამართლიანი შენიშვნები სამბოს მიმართ ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციებისა და უწყებების უყურადღებობის გამო. რამდენიმე კრიტიკული წერილი რესპუბლიკურ პრესაშიც დაიბეჭდა, მაგრამ წლების მანძილზე ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა, სამბო ისევ გერის როლში რჩებოდა.

რა უნდა გაკეთდეს და რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად? სამბოს განვითარების მთავარი რეზერვი, ჩემი აზრით, ისევ და ისევ ქართულ ჭიდაობაში უნდა ვეძებოთ. შემთხვევითი არ არის, რომ როცა სპორტის ამ ეროვნულ სახეობას საქართველოს სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელთა ყურადღება მოაკლდა, ამან მყისვე იჩინა თავი ჭიდაობის კლასიკურ სახეობებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა ტარდება ქართული ჭიდაობის ტრადიციების აღსადგენად. ქართული ჭიდაობის სექციების რიცხვმა ოცდაათს მიაღწია. სასოფლო რაიონებში ამ სექციებს ფიზკულტურის მეთოდისტები, სპორტის ვეტერანები და ენთუზიასტები უძღვებიან. რესპუბლიკის ქალაქებში, კერძოდ, თბილისში, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით ყოველი კვირის ბოლოს და დღესასწაულებზე იმართება მასობრივი შეჯიბრებები, რომლებსაც დიდძალი მაყურებელი ესწრება. გახშირდა რესპუბლიკური ტურნირებიც. ქართული ჭიდაობის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ სამინისტროებსა და უწყებებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ერთი სიტყვით, ტრადიციის აღორძინება საერთო საქმედ იქცა.

ახლა მთავარია ქართული ჭიდაობა დიდი სპორტის სამსახურში ჩავაყენოთ და ნიჭიერი ახალგაზრდობა სამბოს სექციებში ჩავაბათ. სხვათა შორის, სამბოს მწვრთნელებისგან ხშირად გაიგონებ, რომ ტალანტები ძირითადად ძიუდოში მიდიანო. რა არის აქ გასაკვირი? ახალგაზრდა სპორტსმენს, ბუნებრივია, იმ სახეობისკენ მიუწევს გული, რომელსაც საუკეთესო მწვრთნელები ემსახურებიან და არც სპორტული ბაზები აკლია. დაუბრუნეთ სამბოს ძველი ავტორიტეტი და მერე ნახეთ! სამბოსა და ძიუდოს ინტერესები ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ. ჯერჯერობით კი მწვრთნელებმა ვერ გამონახეს საერთო ენა; მეტიც, ამის სურვილსაც არ ამჟღავნებენ.

მეორე გზა — ეს არის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, საზოგადოებებსა და უწყებებში სამბოს განვითარებისთვის მუშაობის გააქტიურება. ამ მხრივ ჩვენს წინაშე დიდ ვალში არიან „შრომითი რეზერვები", დინამოელთა და არმიელთა სპორტული ორგანიზაციები. ჯერჯერობით საქართველოში სამბოს არც ერთი სპეციალიზებული სკოლა არ არის; სპორტის ეს სახეობა უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ბევრი დიდი ქალაქის სპორტის ხელმძღვანელებს.

სხვა მომენტებზეც შეიძლებოდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთქმულიდანაც აშკარაა: სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტულ მოღვაწეებს, ყველას, ვინც ჭიდაობის ამ სახეობასთან არის დაკავშირებული, კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევთ, ვიდრე ქართული სამბო მტკიცედ მოიკიდებს ფეხს, ვიდრე ქართველ მოჭიდავეებს კვლავ ვიხილავთ ქვეყნის ნაკრებში.

**ე. ბერიშვილი,**
გაზეთ „ლელოს" განყოფილების გამგე.

„სოვეტსკი სპორტი", 25 ივნისი, 1987 წ.

თბილისი.

**რედაქციისაგან: ამას წინათ სსრ კავშირის სპორტსახკომში შედგა საკავშირო თათბირი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სამბოს განვითარების საკითხებს მიეძღვნა. თათბირზე გამოვიდა საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს ახალდანიშნული უფროსი გ. რატიშვილი. მან ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა კეთდება რესპუბლიკაში მდგომარეობის გამოსასწორებლად. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან მოქმედებს მწვრთნელთა მოსამზადე ბელი კურსები; დაიწყო სტუდენტების მიღება სამბოს სპეციალობით. 11 ქალაქში შექმნილია ახალი სამხედრო-პატრიოტული კლუბები. ერთი სიტყვით, მოხდა გარკვეული ძვრები, მაგრამ იმდენად სერიოზული არა, რომ საქართველოში სამბოს განვითარების იმ დონის მიღწევის იმედი ვიქონიოთ, რომელიც 1985 წლის დადგენილებით დღეისათვის იყო გათვალისწინებული. ამის მისაღწევად საჭიროა მუშაობის სერიოზული გარდაქმნა ყველა რგოლში, ყველა სპორტულ ორგანიზაციაში.**

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

## „ალბათ აღარ გაჭიანურდება"

რედაქციას უპასუხებს სახალხო დეპუტატთა ქ. თბილისის პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომი

**გაზეთ „ლელოს" 21 მაისის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის „ალბათ აღარ გაჭიანურდება" პასუხად გაცნობებთ, რომ დიღმის მასივის მე-8 კვარტალში მდებარე სასკოლათშორისო საცურაო აუზის წყლის დამცლელი მილების შესაკეთებლად ჩატარდა სამუშაოები, კერძოდ: გაითხარა და გამოიცვალა ქსელის დაზიანებული ნაწილი, გაიწმინდა მილები, მაგრამ როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, სისტემა საჭიროებს მთლიან გადახალისებას, რადგანაც წყალგამშვები ქსელის დახრილობა არ ემთხვევა ნორმით გათვალისწინებულს.**

**ამ სამუშაოების შესრულება ვთხოვეთ საშეფო ორგანიზაციას, რომელიც საქმეს შეუდგება მიმდინარე წლის ივლისში.**

**თ. ბერიძე,**
**თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

**რედაქციისაგან:** ეს ობიექტი კვლავ „ლელოს" კონტროლზე რჩება.

## უკაცრავად, შეგახსენებთ!

მიმდინარე წლის 16 მაისს „ლელოში" დაიბეჭდა ქუთაისელი მუშის ს. ნიშნიანიძის წერილი. ავტორი გმობდა სპორტსმენთა დაჯილდოების დრომოჭმულ მეთოდს, მოითხოვდა ამ ცერემონიალის დახვეწას და ერთფეროვანი პრიზების უფრო ორიგინალურით შეცვლას.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან დიდი დრო გავიდა, გამარჯვებულ სპორტსმენთა უსახური, ტრაფარეტული სუვენირებით დაჯილდოების პრაქტიკა კი ისევ გრძელდება. ნუთუ მართლა არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება? რატომ არაფერს გვეტყვიან რესპუბლიკის სპორტსახკომის შესაბამისი სამსახურების, სპორტული ორგანიზაციების და უწყებების, თვით ქუთაისის სპორტკომიტეტის მესვეურები?

# სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

**2 და 3 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.**

## „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:2 (0:0).

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 1 ივლისი.**

**„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, კუდინოვი, კორღალიძე, სვანაძე, ცვეიბა, ჟვანია (ფანცულაია, 78), გურული, ქეცბაია (შენგელია, 52).**

**„ჟალგირისი": იურკუსი, იაკუბაუსკასი, სუკრისტოვი, მაჟეიკისი, იანონისი, ივანაუსკასი (ბუზმაკოვი 82), ბარანაუსკასი, მაცკიავიჩუსი, რუზგისი (ბალტუშნიკასი, 46), რასიუკასი, ნარბეკოვასი.**

**მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).**

**ვილნიუსის** „ჟალგირისი" ახლა უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი აღიარებული ფავორიტია. გუნდი ძალზე ძლიერად, სტაბილურად თამაშობს, საკუთარი და უცხო მინდორი ვილნიუსელ ფეხბურთელთათვის არ არსებობს, ისინი ერთნაირი პროფესიული ოსტატობით და მონდომებით გამოდიან შინაც და სტუმრადაც, ის დრო კი, როცა „ჟალგირისი" დებიუტანტი და ახალბედა იყო, წარსულს ჩაბარდა, ვილნიუსი ახლა, ლამის არის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან, კანონმდებელ საფეხბურთო ცენტრად იქცეს, მას სავსებით დამსახურებულად უჭირავს მეორე ადგილი საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში.

ამდენად, თბილისის „დინამოს" მარცხი გუნდთან, რომელიც ესოდენ მაღალ საფეხურებზე ავიდა ჩვენს საფეხბურთო იერარქიაში, თითქოს, რაღაც ექსტრაორდინალურ მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ, სავსებით დასაშვები ამბავია, რომ მეცამეტე ადგილზე მყოფმა გუნდმა წააგოს მეორე ლიდერთან. ამგვარი რამ ნორმის ფარგლებს არ სცილდება. „ჟალგირისმა" სულ ახლახან სასტიკი მარცხი აგემა ლიდერს — მოსკოვის „სპარტაკს". ის შედეგიც, ჩვენი აზრით, თამაშის მსვლელობის შესაბამისად სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი იყო.

მაგრამ საქმე ახლა თბილისის „დინამოს" ერთ წაგებაში კი არაა, არამედ სისტემატურ წაგებებში და 1 ივლისის მატჩმა ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ, მკვეთრად გაუსვა ხაზი საქართველოს უპირველეს გუნდში შექმნილ საგანგაშო, უაღრესად სავალალო მდგომარეობას. მთელი სეზონია ვიმეორებთ უკან დასახევი გზა ჩვენს გუნდს აღარა აქვსო, მაგრამ, როგორც ხედავთ, დინამოელები რაღაც მხოლოდ მათთვის ცნობილი ხერხებით პოულობენ ამ „უკან დასახევ გზას" და რამდენადაც შეუძლიათ გულმოდგინედ იხევენ და იხევენ უკან, იქით, სადაც პირველი ლიგის ფრიად უსიამოვნო პანორამაა გადაშლილი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქმე ასე გაგრძელდეს, ვინაიდან თბილისის „დინამოს" აუტსაიდერთა რიგებში ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფნა, ქართული ფეხბურთის კატასტროფად მიგვაჩნია.

მაგრამ სად არის ხსნა? მარტოოდენ იმის ლაპარაკი, რომ საქმე ცუდადაა და მდგომარეობა გამოსასწორებელია, ვერაფერს გვარგებს, მით უმეტეს, რომ, სამწუხაროდ, ახლა ველარ ვიმართლებთ თავს დინამოელთა მოუნდომებლობით, იმით, რომ მათ ბრად ჩააგდეს მეტოქე და მხოლოდ ამის გამოა შემთხვევითმა წარუმატებლობებმა ესოდენ უსიამოვნო კანონზომიერების სახე რომ მიიღო.

არა! მონდომება ჩვენს ფეხბურთელებს, თითქოს არ აკლდათ, ვერც ერთ ჩვენ მოთამაშეზე ვერ ვიტყვით, რომ არ გამოიჩინა საჭირო ბრძოლისუნარიანობა ან უპასუხისმგებლოდ ითამაშა.

საქმე კიდევ უფრო უარესადაა! ახლა დინამოელები უპასუხისმგებლობას და მოუნდომებლობას კი არ იჩენენ, არამედ სრულიად არასწორად, უუნაროდ და ტაქტიკურად ქაოსურად თამაშობენ. ეს არაა თანამედროვე ფეხბურთი. მართალია, „დინამოში" ახლა არა გვყავს ის აღიარებული ვარსკვლავები, რომლებიც მუდამ ასე უხვად გაგვაჩნდა უწინ, ვეტერანები, შესაძლოა, ასე ადვილად ველარ იტანენ ადრინდელ მაღალ დატვირთვებს, ეტყობა, ახალგაზრდების სათამაშო კლასიც ვერ ამაღლდა საჭირო კონდიციებამდე, მაგრამ მაინც ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ თბილისის „დინამოს" ახლანდელი შემადგენლობა, მისი ფეხბურთელები, რომლებიც ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში გამოდიან, არ არიან ისე სუსტები, რომ გუნდი ბოლო ადგილებიდან ვერ დაიძრას ოდნავ მაინც წინ. თითქმის სამ ათეულამდე ფეხბურთელი გამოსცადეს მწვრთნელებმა წლევანდელ ჩემპიონატში, მაგრამ თამაშის სტილი და ხარისხი ჯერ კიდევ ზუსტად შეესაბამება იმ ადგილს, რომელიც ჩვენს გუნდს ახლა უკავია.

ვუყურებდით „ჟალგირისს" და გვშურდა, როგორ მობილურად, ტაქტიკურად სრულიად გამართულად, ჭკვიანურად, უმაღლესი თანამედროვე ფეხბურთის დონეზე მოქმედებდა გუნდის ყველა წევრი. თითოეულმა ვილნიუსელმა ფეხბურთელმა ზუსტად და შეუცდომლად იცის როდის და რა გააკეთოს, როდის გაიხსნას, რა მანევრი შეასრულოს, როდის გაუწიოს პარტნიორობა თანაგუნდელს, როდის მოთხოვოს მას თავისუფალ ადგილზე გასვლა ან საკუთრივ შესთავაზოს ამგვარი მანევრი. „ჟალგირისის" ფეხბურთი ესაა უმაღლესი კოლექტივიზმის გამოვლენა და ცალკეული ფეხბურთელის ინდივიდუალური თამაშის დამორჩილება დანარჩენთათვის. გადაცემა, პასი, თავისუფალი ადგილის მონახვა, სისუსტეების ძებნა მეტოქის განლაგებაში, მოპირდაპირე კართან შექმნილი სახიფათო მომენტების მაქსიმალური გამოყენება, სისწრაფე, ათლეტიზმი, თავით თამაში და სხვა მსგავსი, ტოტალური ფეხბურთის ატრიბუტები, ვილნიუსელებს უმაღლეს დონემდე ჰყავთ აყვანილი. შეიძლება ზოგიერთი მათი ფეხბურთელი თავისი კლასით საშუალო კატეგორიას დიდად არ აღემატება, მაგრამ როცა კოლექტივი ასეთი სინქრონული გეგმით მოქმედებს, მაშინ ყველა თავის ადგილზეა, თავის საქმეს ყველა უნაკლოდ ასრულებს და თუ ერთს რამე შეეშალა, პარტნიორი უმალ მზადაა მისი შეცდომის გამოსასწორებლად.

თბილისის „დინამოში" ასე არ ხდება. აქ თითქმის ყველაფერი დაფუძნებულია ინდივიდუალურ მოქმედებებზე. უმაღლესი პრინციპი აქ ასეთია: ფეხბურთელი და ბურთი, თითოეული დინამოელი მოთამაშე გატაცებულია მარტოოდენ ბურთით, თითქმის კულტამდე ჰყავს აყვანილი დრიბლინგის პრინციპი, სხვებს არ დაგიდევთ და პარტნიორს მხოლოდ მაშინ ეძებს, როცა ბურთის ტარებისგან ქანცგალეულს სხვა საშუალება აღარა აქვს. ბურთის გადაცემა პირველი მიღებისთანავე ან ერთი შეხებით, იშვიათ ხილად იქცა ჩვენი ფეხბურთელებისთვის. თითოეულმა მათგანმა ჯერ უნდა მიიღოს ბურთი, შეჩერდეს, დაიწყოს ტარება, იგი არ ეძებს კონტაქტს პარტნიორებთან, რომლებიც ამ დროს უქმად არიან, ამასობაში მეტოქის დაცვაში ყველაფერი უკვე მოთავებულია, მცველებს გადაკეტილი აქვთ ყველა გზა.

ამიტომაა, რომ ქართველ ფეხბურთელთა ტრადიციულად უმწვავესი და უძლიერესი იარაღი—დრიბლინგი, ახლა ჩვენთვის ყველაზე სერიოზულ და ღრმა, გამოუსწორებელ დაბრკოლებად იქცა.

ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ განვლილ მატჩში ვილნიუსელი ფეხბურთელები თამამად, გაშლილად, ლაღად თამაშობდნენ, დინამოელები კი წვალობდნენ, წვალობდნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეგაა ყველაზე უფრო უარყოფითი და ნეგატიური ახლა ჩვენს გუნდში — ტაქტიკური სიღარიბე და ერთფეროვნება.

თბილისის „დინამოს" გულშემატკივართაგან მხარდაჭერა, თითქოს, არ აკლია. ყველანი ერთიანად მონდომებული ვართ მხარი ავუბათ გუნდს, მის გვერდით დავდგეთ თვით ამ უმძიმეს ვითარებაშიც კი, მაგრამ ნურავინ დაგვაყვედრებს იმას, რომ „ჟალგირისს" ამ დღეს ტაში დაუკრეს ტრიბუნებიდან. ეს ფეხბურთის მცოდნე კაცის ბუნებრივი ხარკია, რომელიც მან გაიღო კარგად მოთამაშე ვილნიუსელთა მიმართ.

თორემ შესაძლებელიც იყო თვით მატჩი სხვაგვარადაც დამთავრებულიყო. როცა 49-ე წუთზე ბარანაუსკასმა მარჯვენა ფლანგიდან ძლიერი დარტყმით პირველი ბურთი გაგზავნა გაბელიას კარში, კიდევ იყო რაღაც იმედი: მაჟეიკისმა 52-ე წუთზე უხეშად წააქცია გურული და ვ. ლისენკომ 11-მეტრიანი დანიშნა, მაგრამ ჩვენი პენალტისტი ჩივაძე როგორღაც საკუთარ თავში დაურწმუნებელი გაემართა დარტყმის შესასრულებლად, გზაში რატომღაც შეყოვნდა კიდეც, და მერე... კარს ააცილა ბურთი.

66-ე წუთზე დინამოელთა მხარეს საჯარიმო დაინიშნა. იაკუბაუსკასმა დიდხანს შეიცადა, ყველაფერი აწონ-დაწონა, გამოზომა და უაღრესად ზუსტად, ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში — 2:0. ამის შემდეგაც იყო თუნდაც ქულის ხსნის შანსი: შენგელიამ 85-ე წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა, მერე შენგელია წესის აშკარა დარღვევით წააქცია მეკარე იურკუსმა და ოდესელი არბიტრი ვ. ლისენკო ვალდებულიც იყო კვლავ დაენიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ეს არ გააკეთა. ერთი იერიშისას სვანაძემ თავით ძელსაც მოახვედრა ბურთი. ყველა ეს მომენტი ჩვენ მარტო სტატისტიკისთვის როდი აღვწერეთ, ამას აღვნიშნავთ მხოლოდ იმიტომ, რომ გვქონდა ამ მატჩში მარცხისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, მაგრამ ყველაფერი ეს, ვთქვათ, კონკრეტულად ამ მატჩში გვიხსნიდა, მომავალში კი ისევ ახალი სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდებოდით.

ვიმეორებთ, დინამოელებმა უნდა ითამაშონ უფრო კოლექტიურად, კომბინაციურად, მეტი ურთიერთგაგებით, უფრო ხშირად გამოიყენონ მოულოდნელი მანევრები, სისწრაფე, მახვილგონიერება, სიმწვავე, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც ჩვენი გუნდი ეს ნახევარი საუკუნეა გამოირჩევა საბჭოთა ფეხბურთში.

ერთი მატჩის სარეცენზიო წერილში შეუძლებელია ილაპარაკო თბილისის „დინამოს" ყველა პრობლემაზე. გუნდს ჰყავს საკმაოდ კვალიფიციური მოთამაშეები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები, რომლებმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ ასე არ შეიძლება შემდგომშიც გაგრძელდეს. საჭიროა მაქსიმალური მობილიზება, თამაშის გარდაქმნა, ტაქტიკაში კოლექტივიზმის სულისკვეთების დაფუძნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სახელგანთქმული კოლექტივი შეიძლება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს.

**ბიჭიკო ქორქია.**

**და, ბოლოს: საბჭოთა ფეხბურთის პრაქტიკაში დაწესებულია ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრები თავიანთ ქომაგებთან. ეს იმგვარი ხასიათის კონტაქტებია, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გუნდის თამაშზე ახდენენ დადებით, კეთილნაყოფიერ ზეგავლენას. ამას ხშირად აკეთებენ უმაღლესი ლიგის სხვა გუნდები, ეს ჩვენც უნდა გავაკეთოთ, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებმა, ფეხბურთელებმა გულახდილი საუბარი უნდა გამართონ თავიანთ ქომაგებთან, გაანდონ მათ თავიანთი გეგმები და ერთიანი მობილიზებით შეუდგნენ საქმეს. მით უფრო, რომ თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ა. ასათიანმა სეზონის დასაწყისში გულშემატკივრებს აღუთქვა კოლექტივის სურვილი ამგვარი შეხვედრების გამართვის თაობაზე.**

* * *

**2 ივლისს** მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შორის. თამაში ფრედ დამთავრდა. — 0:0.

გუშინ კიევის დინამოელებმა შინ მიიღეს მინსკის თანაკლუბელთა გუნდი. მატჩის შედეგია 2:0 კიეველთა სასარგებლოდ.

**გათამაშების ცხრილი**

**ძირითადი შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 4 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 16 | 8 | 6 | 2 | 25-15 | 22 |
| „ჟალგირისი" | 17 | 8 | 4 | 5 | 24-18 | 20 |
| „ტორპედო" | 16 | 6 | 8 | 2 | 15-8 | 20 |
| „დნეპრი" | 15 | 7 | 4 | 4 | 18-9 | 18 |
| „შახტიორი" | 15 | 6 | 6 | 3 | 15-11 | 18 |
| „დინამო" მნ. | 15 | 6 | 5 | 4 | 14-9 | 17 |
| „მეტალისტი" | 15 | 6 | 4 | 5 | 12-12 | 16 |
| „არარატი" | 15 | 7 | 1 | 7 | 15-20 | 15 |
| „დინამო" კ. | 12 | 6 | 3 | 3 | 21-10 | 15 |
| ცსკა | 16 | 5 | 4 | 7 | 15-19 | 14 |
| „დინამო" მ. | 16 | 4 | 6 | 6 | 10-14 | 14 |
| „ქაირათი" | 15 | 5 | 3 | 7 | 10-15 | 13 |
| „დინამო" თბ. | 16 | 4 | 4 | 8 | 13-20 | 12 |
| „ზენიტი" | 16 | 3 | 6 | 7 | 11-22 | 12 |
| „ნეფთჩი" | 16 | 3 | 5 | 8 | 12-18 | 11 |
| „გურია" | 15 | 2 | 5 | 8 | 7-17 | 9 |

## ჟურნალისტების შეფასება

**თბილისის** „დინამოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა ათბალიანი სისტემით შეაფასეს მასპინძელი გუნდის თითოეული ფეხბურთელის თამაში. აი, ვინ რა ნიშანი მიიღო: გაბელია 5,6, კეტაშვილი 4,3, ჩივაძე 3,2, ჰედია 3,3, კუდინოვი 2,8, კორღალიძე 2,7, სვანაძე 4, ცვეიბა 3,8, ჟვანია 3,3, გურული 5,3, ქეცბაია 3,3, შენგელია 6,7, ფანცულაია 3,5.

# მსოფლიოს ნაკრებში მიწვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როგორც** ვიცით, 8 აგვისტოს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე გაიმართება ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელიც ეძღვნება ინგლისის საფეხბურთო ლიგის შექმნის 100 წლისთავს. მსოფლიოს ნაკრებში ამ დღეს ითამაშებენ თანამედროვეობის გამოჩენილი ფეხბურთელები, მათ შორის არგენტინელი მარადონა, მაგრამ საგანგებოდ მიიწვიეს ბრაზილიელი ვეტერანი პელეც, მისი მონაწილეობა, ორგანიზატორთა აზრით, განსაკუთრებულ ელფერს შემატებს საიუბილეო თამაშს.

ამ ღირსშესანიშნავ მატჩში მონაწილეობისთვის მიიწვიეს მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი რინატ დასაევი, აგრეთვე, კიევის „დინამოს" მოთამაშეები იგორ ბელანოვი და ალექსანდრე ზავაროვი.

# პროფკავშირების თასზე

დაიწყო საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის გათამაშება ფეხბურთში II ლიგის IX ზონის გუნდების შორის: „კოლხეთი" (ფოთი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:3, „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 5:1, „დილა" (გორი) — „შევარდენი"-სპ (თბილისი) 1:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 3:3.



# „ტყავის ბურთი" ლანჩხუთში

**ლანჩხუთში** დაიწყო საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზის გათამაშების რესპუბლიკური ფინალური ტურნირი, რომელიც 26 ივლისამდე გაგრძელდება. ასპარეზობაში მონაწილე გუნდები 3 ასაკობრივ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველად ბრძოლაში ჩაებნენ საშუალო (1974-1975 წლებში დაბადებულნი) ასაკის ფეხბურთელთა გუნდები. მათი შეხვედრები 9 ივლისამდე გასტანს. 10 ივლისიდან ტურნირში გამოვლენ მოზარდი (1972-1973 წლებში დაბადებულნი) ასაკის ფეხბურთელები, რომლებიც 18 ივლისამდე იასპარეზებენ. 19-დან 26 ივლისამდე კი უფროსი ასაკის (1970-1971 წლებში დაბადებულნი) ჯგუფის გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

საშუალო ასაკის ფეხბურთელებმა უკვე ჩაატარეს პირველი შეხვედრები. საგარეჯოელები ანგარიშით 0:1 დამარცხდნენ ნატანებელ თანატოლებთან, ფრედ 1:1 ითამაშეს რუსთავისა და ახალქალაქის გუნდებმა, ონის კოლექტივმა მოუგო ყვარლის გუნდს 3:0, ლანჩხუთმა—ჭიათურას —1:0, გეგეჭკორმა—გაგრას —4:1, თბილისელებმა კი ანგარიშით 7:3 სძლიეს შუახევის გუნდ



## სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი

**ბუენოს-აირესი.** სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატი პირველად მიმდინარეობს ერთ ქვეყანაში — არგენტინაში. დაახლოებით ისეთივე წესით, როგორც მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირი იმართება.

„ც" ჯგუფში ბოლივიის ნაკრებმა ანგარიშით 0:2 წააგო კოლუმბიის გუნდთან, „ბ" ჯგუფში ვენესუელის ფეხბურთელებმა ბრაზილიელებთან წაგების შემდეგ (0:5) მარცხი იწვნიეს ჩილის გუნდთან შეხვედრაშიც — 1:3. „ა" ჯგუფში არგენტინელებმა მხოლოდ ფრეს მიაღწიეს პერუს ნაკრებთან — 1:1.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულები დღეს გამოვლინდებიან. სამხრეთ ამერიკის ძველი ჩემპიონი ურუგვაის ნაკრები მათთან ერთად ბრძოლას გააგრძელებს ოლიმპიური სისტემით. ურუგვაელები შეხვდებიან „ა" ქვეჯგუფში გამარჯვებულს, პარალელურ ნახევარფინალურ წყვილში ითამაშებენ „ბ" და „ც" ჯგუფებში გამარჯვებულები. ფინალი გაიმართება 12 ივლისს.

## თასი „მილანმა" მოიპოვა

იტალიაში მიმდინარე „მუნდიალიტოს" საერთაშორისო ტურნირის ბოლო ტურში „მილანმა" ანგარიშით 1:0 დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა", 4 მატჩში 7 ქულა დააგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა.

5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი პორტუგალიის „პორტო", რომელმაც ასევე ბოლო ტურში ანგარიშით 1:0 დაამარცხა პარიზის „სენ-ჟერმენი".

მომდევნო ადგილებზე არიან „ინტერი" (იტალია) — 4 ქულა, „ბარსელონა" — 3, „სენ-ჟერმენი" — 1.

როგორც ცნობილია, წელს ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გაიმარჯვა ახმეტის რაიონის გუნდმა. საქართველოს წლევანდელ აბსოლუტურ პირად-გუნდურ ჩემპიონატში უძლიერესის სახელი ქალაქ გორის ფალავნებმა მოიპოვეს. რომელი ჩემპიონი უფრო ძლიერია? ეს კითხვა ჯერ სპეციალისტებში დაიბადა, მერე გულშემატკივრებიც დააინტერესა და აი... გაჩნდა იდეა: გავათამაშოთ სუპერთასი ამ ორ კოლექტივს შორის.

ეს საინტერესო შეხვედრა დაიწყება 10 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, ფეხბურთში მინსკელ და თბილისელ თანაკლუბელთა მატჩის წინ და დამთავრდება ტაიმებს შორის შესვენებისას. მაშ ასე, ვინ უფრო ძლიერია, ვინ მოიპოვებს სუპერთასს? და კიდევ: როგორი უნდა იყოს სუპერთასი და რა დავარქვათ, იქნებ ვინმეს სურს თავისი პრიზი შემოგვთავაზოს. პასუხი გვაცნობეთ „ლელოში“ ან დაგვირეკეთ: 99-56-14, 93-97-54.



# I ლიგა

2 ივლისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XX ტურის მატჩები.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0 (1:0).**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 ივლისი.

„ტორპედო“: მიქაძე, ფრუიძე (პაპავა), თევზაძე, ჰელიძე, ციკარიშვილი, ბზიკაძე, ბიგვავა, მანაგაძე (გოგელიძე), ტყავაძე, ხარაბაძე, შენგელია (ხუნდაძე).

„როსტსელმაში“: სკოტარენკო, შიკუნოვი (პაროვინი), ივანოვი, პოვალიაევი, შჩერბაკი, გამულა, ანდრეევი, გიცელოვი, სელინი (ოკუნევი), სტეპუშკინი (კლიუჩნიკოვი), ბალახნინი.

მსაჯი ა. ბოგომაზოვი (ფრუნზე). გააფრთხილეს ივანოვი, პაროვინი.

ორივე გუნდმა თამაში ფრთხილად და დაზვერვით დაიწყო, მაგრამ მე-6 წუთზე ტორპედოელებს სწრაფი შეტევის შესაძლებლობა შეექმნათ, „როსტსელმაშის“ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ბურთი მიიღო ტყავაძემ და მაღალ ნახტომში, თავის უკან დარტყმით ულამაზესი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში — 1:0.

ამ მეტად ეფექტურმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. როსტოველებმა შემდგომში სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, ბურთის გატანის შესაძლებლობა მასპინძლებსაც მიეცათ, მაგრამ ანგარიშში ცვლილება არ მომხდარა, გამარჯვება ტორპედოელებს დარჩათ.

**თამაზ ხარაბაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

**„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0.**

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 2 ივლისი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, თორლაშვილი (მაჭუტაძე), დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე, მაისურაძე.

„დინამო“: პატა, მალუხინი, სოლოვიოვი, ნიკიტინი, კოსტინი, საგინი, ზახარიკოვი, პუდიშევი, ოსიპოვი (კორნეევი), გრომოვი (სუში), მურაშკინცევი (ზაზდრავნიხი).

მსაჯი ა. ბუტენკო (მოსკოვი).

თამაშმა უინტერესოდ, უხალისოდ ჩაიარა და თუ სტავროპოლელთათვის ფრე ასე თუ ისე ხელსაყრელი იყო, მასპინძლებს გაცილებით მეტი სწრაფვა უნდა გამოევლინათ გამარჯვების მოსაპოვებლად. მით უმეტეს, რომ ზედანიას, გორგილაძეს ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობანი, მათ კი ვერ გამოიყენეს. მატჩის დასასრულს ბათუმელთა კარი ძელმა იხსნა ნაღდი გოლისგან.

**გიორგი მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „პამირი“ (დუშანბე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 5:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:2, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „ფაქელი“ (ვორონეჟი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0.

მომდევნო, XXI ტურში ქუთაისის ტორპედოელები 10 ივლისს იაროსლავლში შეხვდებიან ადგილობრივ „შინიკს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ რიგაში ითამაშებს იქაურ „დაუგავასთან“.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 4 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორ.“ | 18 | 14 | 4 | 0 | 30-7 | 32 |
| „დაუგავა“ | 18 | 11 | 4 | 3 | 29-13 | 26 |
| „კოლოსი“ | 20 | 11 | 3 | 6 | 28-18 | 25 |
| „ლოკომოტ.“ | 18 | 9 | 7 | 2 | 20-9 | 25 |
| „როსტსელ.“ | 19 | 9 | 3 | 7 | 26-23 | 21 |
| „დინ.“ სტ. | 19 | 7 | 6 | 6 | 18-22 | 20 |
| „პამირი“ | 19 | 7 | 5 | 7 | 24-21 | 19 |
| „ფახთაქორი“ | 19 | 7 | 5 | 7 | 20-20 | 19 |
| „შინიკი“ | 19 | 7 | 5 | 7 | 12-16 | 19 |
| „კუზბასი“ | 19 | 6 | 6 | 7 | 15-12 | 18 |
| ასკ „კარპ.“ | 19 | 6 | 6 | 7 | 20-21 | 18 |
| „სპარტაკი“ | 19 | 6 | 6 | 7 | 13-15 | 18 |
| „მეტალურგი“ | 19 | 6 | 5 | 8 | 21-20 | 17 |
| „გეოლოგი“ | 19 | 6 | 5 | 8 | 19-20 | 17 |
| „ზარია“ | 18 | 5 | 7 | 6 | 19-23 | 17 |
| „როტორი“ | 19 | 7 | 2 | 10 | 22-28 | 16 |
| ასკ რ. | 19 | 7 | 2 | 10 | 14-23 | 16 |
| „ტორპ.“ ქ. | 19 | 5 | 6 | 8 | 13-23 | 16 |
| „დინამო“ ბ. | 19 | 5 | 5 | 9 | 13-19 | 15 |
| „კოტაიკი“ | 19 | 6 | 2 | 11 | 21-28 | 14 |
| „ფაქელი“ | 19 | 4 | 6 | 9 | 12-19 | 14 |
| „კრ. სოვეტ.“ | 18 | 4 | 4 | 10 | 13-22 | 12 |

# შთამომავლობას შემოვუნახოთ

(დასასრული)

ბი ცხენოსნობაში. კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ჯოტო გუგუჩიას თაოსნობით გაშენდა შესანიშნავი იპოდრომი, შეიძინეს სპორტული ცხენები. სუფთა სისხლის ცხენებით ძალიან არ დაინტერესებულან, უფრო ადგილობრივი ჯიშის მერნები მოიძიეს საკუთარ თუ მეზობელ სოფლებში.

ჯოტო გუგუჩიას მეზობელი კოლმეურნეობის თავკაცები ამოუდგნენ მხარში და კარგად დაწყებული საქმე კარგად დაგვირგვინდა. ახლა უკვე რამდენიმე სოფელს შეუძლია მონაწილეობის მიღება საცხენოსნო სპორტის სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში.

მაისში სოფელ კახათში ჩატარდა სპორტული ზეიმი, რომლის პროგრამაში ძირითადად ცხენოსნობა იყო.

შეჯიბრება მხედართა ალლუმით დაიწყო, რომელსაც სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ოთარ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.

გაიმართა მეტად საინტერესო შეჯიბრებები. მონაწილეთა შორის იყვნენ კახათის, შამგონის, კოკის, ორსანტიის, განმუხურის, რუხის, ერგეტის, ახალი კახათის ცხენოსნები. ადგილობრივი და არაბული ჯიშის ცხენებისათვის ორ და სამ კილომეტრზე გამართულ დოღში ყველას აჯობა კახათელმა მიხეილ ჭავჭავაძემ, ცხენბურთში პირველობა სოფელ კოკის ცხენოსნებმა დაისაკუთრეს, „ისინდში“ შამგონელები დაწინაურდნენ, 6 კილომეტრზე გამართულ მარულაში კი (ადგილობრივი ჯიშის ცხენები) განმუხურელმა გოჩა ბაჩილავამ იმარჯვა. საინტერესოდ ჩატარდა „ყაბახი“, ბევრმა მხედარმა სცადა, მაგრამ თასის ჩამოგდება ვერავინ შეძლო განმუხურელი ლევან ბერაძის გარდა. მაყურებელი მოხიბლა უძველესმა კოლხურმა თამაშობამ „მოქნევამ“. აქ ჭარმაგმა ცხენოსნებმა აჩვენეს თავიანთი ძალა და მოხერხება. 75 წლის გეგე ჭაფანიძის და 70 წლის ხოფო წარიას უბადლო ოსტატობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, რომელმაც კახათის იპოდრომზე მოიყარა თავი. დიახ, ხალხს არ დავიწყნია საყვარელი სპორტი. გვიან საღამომდე ფეხმოუცვლელად გულშემატკივრობდნენ ისინი „არაბიას“ და „კუკლას“, „გულფიცხასა“ და „შევარდენს“.

„60-იან წლებამდე თითქმის ყველგან იმართებოდა ასეთი შეჯიბრებები, — გვითხრა ჯოტო გუგუჩიამ. — ჩვენში მას მარულას ეძახდნენ, ეს დიდი თავყრილობა სახალხო ზეიმად იქცეოდა ხოლმე, მეზობელი რაიონებიდან რჩეული მხედრები და ახალგაზრდები ჩამოდიოდნენ.

დღეს, სამწუხაროდ, დავიწყებულია ცხენოსნობის ქართული თამაშობანი. ყველამ როდი იცის „ისინდის“, „თარჩიას“, „მოქნევის“, „ჩეხვის“, „მკერდაობის“ თამაშის წესი. აქაც ისეთივე ვარჯიშია საჭირო, როგორც სპორტის სხვა სახეობებში. ამიტომ ხელმძღვანელმა მუშაკებმა უფრო ენერგიულად და გაბედულად უნდა მოკიდონ ხელი ამ საქმეს. მართალია, მეურნეობისთვის ძნელია სპორტული ცხენების შენახვა, მაგრამ ადგილობრივი ჯიშის ცხენების ყოლა დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, ამ ცხენებს კი ეროვნულ სახეობებში ბადალი არ ჰყავთ. ჩვენც ეს გვინდა — შემოვუნახოთ შთამომავლობას ერის არსებობის მანძილზე შობილი ცხენოსნობის სახეობები“.

ბატონი ჯოტო მართალია, მას — გამოცდილ კაცს, ბევრი კარგი საქმის ინიციატორს — ბევრი რამ დაეჯერება.

**ნუგზარ ჟვანია,**

# ნ. სეთურმა გვასახელა

**ჩვენი** ქვეყნის 135 ახალგაზრდა მოკრივეს მოუყარა თავი ლენინგრადის ზამთრის სტადიონის სარბიელმა, სადაც 1965-1969 წლებში დაბადებული სპორტსმენები უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. სასპარეზოდ შეიკრიბნენ ცამეტი მოკავშირე რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის იუნიორთა, „დინამოსა“ და პროფკავშირების ნაკრები გუნდები.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ ღირსებას სულ ოთხი სპორტსმენი იცავდა: მსუბუქ წონაში ქუთაისელი მოკრივე დავით შარვაშიძე, ქვემძიმე წონაში — არმიელი მოსე გოლაძე, მისი თანაკლუბელი ნიკოლოზ სეთური (91 კგ) და ქუთაისელი ანზორ ჯიმშელეიშვილი (+91). მათგან საუკეთესოდ იასპარეზა ნ. სეთურმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ქვაჭაძე). ქართველ მოკრივეს ფინალში ებრძოდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ა. ბაშინი. გამარჯვება ნ. სეთურს დარჩა, რომელსაც ოქროს მედალი გადაეცა.

## ჭადრაკი

**იუგოსლავიის** ქალაქ სუბოტიცაში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში VIII ტურის წინ კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — ავადმყოფობის გამო გათამაშებას გამოეთიშა ამერიკელი ლიუბომირ კავალეკი და მისი შედეგები გაუქმდა. გახსოვთ, ალბათ, ტურნირის დაწყების წინ თამაშზე უარი განაცხადა ცნობილმა დასავლეთგერმანელმა დიდოსტატმა რობერტ ჰიუბნერმა. ამრიგად, ამ ჯგუფიდან (სულ სამი საზონათშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს) პირველ სამეულში მოხვედრაზე ახლა მხოლოდ 16 მოჭადრაკე აცხადებს პრეტენზიას.

VIII ტურში მიხეილ ტალმა დაამარცხა კოლუმბიელი ალონზო ზაპატა. ლიდერი, ინგლისელი ჯონათან სპილმენი ამ დღეს დაუზავდა იუგოსლაველ სლავოლიუბ მარიანოვიჩს. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სმისლოვი-პოპოვიჩი — 0:1, ქსუ-პრასადი — 1:0, ჰამეტი-რიბლი — 0:1, როდრიგესი-ჩერნინი — 0,5:0,5. ალბურტ-შორტის პარტია გადატანილია ალბურტის ავადმყოფობის გამო.

IX ტურში ტალი და სმისლოვი ისვენებდნენ. რიბლიმ მოუგო ზაპატას, სპილმენმა ყაიმით დაამთავრა პარტია პოპოვიჩთან. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: შორტი-როდრიგესი — 1:0, საქსიერნსტი — 0,5:0,5, ჩერნინი-ჰამედი — 1:0.

9 ტურის შემდეგ ჯონათან სპილმენსა (ინგლისი) და ზოლტან რიბლის (უნგრეთი) 6,5-6,5 ქულა აქვთ 9-9 შეხვედრიდან, მიხეილ ტალმა 8-დან 6 ქულა მოაგროვა.

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 4 ივლისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი).** დასაწყისი 11 ს., „იმედი“-„დინამო“2 (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). 17 ს. 30 წ.

## ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია.** 4 ივლისი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.45 (2); სპორტი და პიროვნება — 17.30 (2); უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთში — 20.00 (2) და 24.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი მოტობოლში — 21.35 (2).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (წერეთლის გამზირი № 2)

**6 ივლისი**

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის თასი (მეთექვსმეტედფინალი)

**„დინამო“ (თბილისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)**

დასაწყისი 20 საათზე

ბილეთები გაიყიდება 5 და 6 ივლისს სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

# ნავრატილოვა და გრაფი — პირველი ფინალისტები

**უიმბლდონის** ტურნირის ფინალში ქალთა შორის მსოფლიოს ორი უძლიერესი ჩოგბურთელი მარტინა ნავრატილოვა (აშშ) და შტეფი გრაფი (გფრ) შეხვდებიან. დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ნახევარფინალში პამ შრაივერი (აშშ) დაამარცხა — 6:0, 6:2, ნავრატილოვამ კი მეორე ამერიკელ ჩოგბურთელს კრის ევერტს აჯობა — 6:2, 5:7, 6:4.

შეგახსენებთ, რომ 17 წლის გრაფი, რომელსაც წლეულს არც ერთი შეჯიბრება არ წაუგია, ამ ტურნირის ფინალში პირველად ითამაშებს, აი, ნავრატილოვა კი უიმბლდონის ჩემპიონი ხუთჯერ იყო.

გუშინ ღამე გაიმართა ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალური შეხვედრები. თამაშობდნენ ივან ლენდლი (აშშ) — სტეფან ედბერგი (შვეცია) და ჯიმი კონორსი (აშშ) — პატ კეში (ავსტრალია).

წყვილთა შეჯიბრებაში წარმატებით ასპარეზობენ მოსკოველი სვეტლანა პარხომენკო და ლვოველი ლარისა სავჩენკო. მეოთხედფინალში ამ დუეტმა უიმბლდონის ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი, აშშ-ს ჩოგბურთელთა წყვილი (ნავრატილოვა-შრაივერი) დაამარცხა — 6:2, 6:4.

ნახევარფინალში საბჭოთა ჩოგბურთელთა მეტოქე ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია) — კლაუდია კოდე-კილშის (გდრ) ინტერნაციონალური წყვილი იქნება.

# მოსკოვის საერთაშორისო

დამთავრდა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირები. პირველ ანუ მთავარ ტურნირში 13 შესაძლებლიდან 8,5 ქულით I ადგილი მიხეილ გურევიჩმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ოლეგ რომანიშინი — 8 ქულა. 7,5-7,5 ქულით III-V ადგილები გაიყვეს სერგეი დოლმატოვმა, ვლადიმერ მალანიუკმა და ისლანდიელმა მოჭადრაკემ იოჰანს ჰიარტარსონმა.

მეორე ტურნირში 14-დან 9 ქულით პირველობა დაისაკუთრა გრიგორი კაიდანოვმა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ევგენი პიგუსოვი და ალექსეი ვიჟმანავინი. თბილისელმა გუნადი ზაიჩიკმა 7 ქულით VIII ადგილი დაიკავა.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07920